ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო -

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი N 16

ქალაქი ბათუმი

26 სექტემბერი, 2019 წელი (16 : 30 სთ)

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი

სხდომას ესწრებოდნენ :

1. კახაბერ გუჩმანიძე - CENN - პროექტის - ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებში ფაზა II (USAID / WMTR II) - რეგიონული კოორდინატორი აჭარის ა რ - ში;
2. მარიამ ბურკენაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი;
3. მაყვალა კვირიკაძე - შპს ,,მაკო''-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე;
4. თამარ ხუხუნაიშვილი - მ. იაშვილის სახელობის ქ. ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრალური ჰოსპიტლის კლინიკური დირექტორი;
5. ზურაბ ჩიხლაძე - ბათუმის შოთა რუსთაველი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ქირურგიული დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
6. თემურ კაკაბაძე - ,,ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის'' დამფუძნებელი და თავმჯდომარე;
7. ნინო ინაიშვილი - საზოგადოება ,,ბათომის'' დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე; განათლების საერთაშორისო ცენტრის ბათუმის ოფისის ხელმძღვანელი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი წინასწარ დაეგზავნათ ელ.ფოსტაზე, ასევე ინფორმაცია განთავსდა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ. გვერდზე.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 11 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 7, არ ესწრებოდა 4 წევრი (ნაწილმა წევრებმა - თ.თურმანიძემ, ლ.ნაკაშიძემ და გ.ფუტკარაძემ საბჭოს თავმჯდომარეს წინასწარ აცნობეს, რომ ვერ დაესწრებოდნენ სხდომას რადგან არ იმყოფებოდნენ ქ.ბათუმში, სხდომაზე არდასწრების მიზეზი არ უცნობებია ნ.აფხაზავას).

სხდომას ასევე ესწრებოდნენ :

მაია ქათამაძე - ბათუმის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი, მიხეილ შავდათუაშვილი, გია ჩხაიძე, ნანა სიხარულიძე, მარიამ ტარიელაძე - ახალგაზრდული ქსელის წევრები (BEDEC).

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მე-4 მუხლის მე 10 პუნქტის თანახმად საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია რადგან მასში სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი წევრი მონაწილეობდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა გახსნა და უძღვებოდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე - კახაბერ გუჩმანიძე.

სხდომას შემდგომი გაშუქების მიზნით ესწრებოდნენ აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელის ჟურნალისტები.

დღის წესრიგი გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხები: -

დღის წესრიგი - # 16 (26 სექტემბერი - 2019 წ / 16 : 30 სთ)

საკითხი 1. საქველმოქმედო ფონდი „წყარო“ - ს ხელმძღვანელ ანჟელიკა ზახაროვას წერილის - სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალის დასადგმელად ქ.ბათუმში ადგილის გამოყოფის თაობაზე - განხილვა და წინადადებების წარმოდგენა.

(საფუძველი - ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გადმოგზავნილი კორესპონდენცია - N 25/19426 19/08 /2019)

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი, ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს დამსწრე წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა დღის წესრიგს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს რათა განეხილათ დღის წესრიგით გათ - ვალისწინებული საკითხები.

საკითხი 1. საქველმოქმედო ფონდი „წყარო“ - ს ხელმძღვანელ ანჟელიკა ზახაროვას წერილის - სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალის დასადგმელად ქ.ბათუმში ადგილის გამოყოფის თაობაზე - განხილვა და წინადადებების წარმოდგენა.

კახაბერ გუჩმანიძემ განაცხადა, რომ საბჭოს წევრებს თითქმის 2 კვირაზე მეტია რაც ელ.ფოსტაზე დაუგზავნა მუნიციპალიტეტის მერიიდან კომპეტენციის ფარგლებში განსახილველად გადმოგზავნილი საქველმოქმედო ფონდ ,,წყარო''-ს ხელმძღვანელის ა. ზახაროვას წერილი, საბჭოს წევრებს საკმაო დრო ჰქონდათ იმისათვის, რომ გაცნობოდნენ წერილს, ასევე ჩამოეყალიბებინათ საკუთარი პოზიცია ან მოსაზრება წერილში მოყვანილ გარემოებებთან დაკავშირებით.

კახაბერ გუჩმანიძემ აღნიშნა : - ,, უპირველესად მინდა გამოვხატო ჩემი ღრმა პატივისცემა სამამულო ომში მებრძოლთა და დაღუპულთა ხსოვნის წინაშე, ფაშიზმი იყო ბოროტება და მასთან ბრძოლაში უამრავი ქართველი დაიღუპა, სამამულო ომში ჩემი ბაბუაც იბრძოდა, მათ შორის პარტიზანულ მოძრაობაში, არც ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვისაა უცხო სამამულო ომში მებრძოლთა განსაკუთრებული პატივისცემა. კარგად მახსოვს - წლების წინ ჩემს ბავშვობაში მათი სახელის უკვდავსაყოფად ნავსადგურის მიმდებარედ იყო კიდეც აღმართული ობელისკი

სადაც ენთო მარადიული კოცონი, ამჯერადაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მათი ღვაწლის პატივსაცემად ქ. ბათუმში აუცილებლად კვლავაც უნდა შეიქმნას და განთავსდეს მემორიალი, თუმცა აქვე ხაზგასმით მინდა წარმოგიდგინოთ ჩემი შემდეგი მოსაზრება - საქველმოქმედო ფონდ ,,წყარო''-ს ხელმძღვანელი ა.ზახაროვა არის საქართველოში რუსული ,,უკვდავი პოლკის'' მარშის ორგანიზატორი, ანუ იმ ორგანიზაციისა, რომელიც თავის ოფიციალურ ვებ.გვერდებზე საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად მოიხსენიებდა, პირადად ჩემთვის ე.წ. რუსული ,,უკვდავი პოლკი'' არის ორგანიზაცია, რომელიც პირდაპირ კრემლიდან ფინანსირდება, ხოლო მის მრავალათასიან მსვლელობეს წინ ვლადიმერ პუტინი მიუძღვის, ღრმად ვარ დარქმუნებული ,,უკვდავი პოლკი", ფონდი წყარო, ასევე ა.ზახაროვასა და მისი მეუღლის (რევაზ გოგიძე) მიერ საქრთველოში დაარსებული ორგანიზაციები - ,,მრავალეროვნული საქართველოს ანტიაშისტური კოალიცია'' და ,,მრავალეროვანი საქართველოს რუს და რუსულეროვან თემთა კონგრესი'' არის კრემლის იდეოლოგიის ნაწილი რაც ,,საოკუპაციო" პოლიტიკის ექსპორტსა და ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს ასაზრდოებს. კვლავაც ხაზგასმით მინდა ავღნიშნო, ჩემი მოსაზრება და პოზიცია - 1) მემორიალის გათავსებაზე ადგილის შესარჩევად უნდა ჩაერთოს საზოგადოების ფართო ნაწილი, რომლებიც მსჯელობის შედეგად შეჯერდებიან საუკეთესო ლოკაციაზე რასაც შემდგომ შესთავაზებენ მუნიციპალიტეტის მესვეურთ, 2) ხოლო რაც შეეხება ა.ზახაროვას ინიციატივას კონკურსის გამოსაცხადებლად და მემორიალის ასაგებად საჭირო ხარჯების გაწევის თაობაზე ჩემი პასუხი იქნება შემდეგი - დამაცირებელია განვიხილო წინადადება თანხის გაღების თაობაზე (თუნდაც მემორიალის ასაშენებლად) იმ ორგანიზაციიდან, რომელიც კრემლთან აფილირებულია, განსაკუთრებით მაშინ როცა ჩემი ქვეყნის 20 % სწორედ ამ ქვეყნის მიერაა ოკუპირებული "

კახაბერ გუჩმანიძემ ასევე თხოვა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

თემურ (თომა) კაკაბაძე : - მინდა ასევე გამოვხატო ჩემი ღრმა პატივისცემა სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის წინაშე და გითხრათ, რომ სრულიად ვიზიარებ საბჭოს თავმჯდომარის პოზიციას, კატეგორიული უარი უნდა ეთქვას ა.ზახაროვას წინადადებას მემორიალის დასადგმელად თანხების გაღების თაობაზე, მემორიალის დადგმა და კონკურსის გამოცხადება მუნიციპალიტეტის კომპეტენციაა და საამისოდ დარწმუნებული ვარ თანხებიც გამოიძებნება.

ნინო ინაიშვილი : - ორი აზრი არაა, იმის თაობაზე, რომ სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალი უნდა განთავსდეს და მათ ხსოვნას პატივი უნდა მივაგოთ, თუმცა ,,რუსული მარშის'' ორგანიზატორის ა.ზახაროვას საქველმოქმედო ფონდის ფინანსებით ამის განხორციელება დანაშაულია და მეტი არაფერი, რათქმაუნდა უარი უნდა ეთქვას მსგავსი ტიპის ორგანიზაციიდან ინიცირებულ წინადადებას.

ზურაბ ჩიხლაძე : - თავდაპირველად მინდა ავღნიშნო, რომ სამამულო ომში დაღუპულთა სახელის უკვდავსაყოფად ბათუმში საუკეთესო ადგილას იყო განთავსებული ობელისკი და ე.წ. მარადიული კოცონი, რომ არა წინა მთავრობის დაუდევრობა ის არ დაინგრეოდა და დღეს არც ამ საკითხის განსახილველად მოგვიწევდა შეკრება, ვფიქრომ კარგი იქნებოდა ბათუმის საზოგადოებას და მის აქტიურ ნაწილს მაშინაც დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია და მინიმუმ გაეპროტესტებინა. მე შევეცადე მომეპოვებინა ინფორმაციები ფონდ ,,წყაროსთან" დაკავშირებით, ასევე მის ხელმძღვანელზე, ე.წ. ,,უკვდავი პოლკი'' რომლის მარშის ორგანიზატორიცაა საქართველოში ა.ზახაროვა 9 მაისს დიდ სამამულო ომში გამარჯვების აღსაღნიშნავად მსვლელობებს მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში აწყობს (მათ შორის გერმანიაშიც), რასაც ყოველგვარი პროტესტის გარეშე ხვდებიან და ამაში ვერაფერს ვხედავ ცუდს. რაც შეეხება თქვენს მიერ გაჟღერებულ ინფორმაციებს ,,უკვდავ პოლკთან'' და ა.ზახაროვასთან მიმართებაში ვერ დავადასტურებ რადგან არაფერი მსმენია და არა ვარ ინფორმირებული,

ხოლო ყველაფერ რუსულზე და რუსულ პოლიტიკაზე ხელაღებით უარყოფითი პოზიციის დაფიქსირება არ მიმაჩნია სწორად, თუ ზახაროვას ინიციატივას უარს ვეუბნებით იმ მოტივით, რომ ის კრემლის პოლიტიკის გამტარებელია მაშინ უარი უნდა ვუთხრათ იმ რუსულ ინვესტიციებსაც რაც ჩვენს ენერგოსექტორში და სხვაგანაა წარმოდგენილი. იმ ნაწილში კი დაგეთანხმებით, რომ პატივი უნდა მიეგოს დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნას და მათი სახელის უკვდავსაყოფად ბათუმში უნდა განთავსდეს მემორიალი ოღონდ არა ფონდ ,,წყაროს" ფინასებით არამედ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით და მუნიციპალური სახსრებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულს ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი, მაშინ თანხმობა უნდა მიეცეს ნებისმიერ ინიციატორ ორგანიზაციას მათ შორის ფონდ ,,წყაროს".

მაყვალა კვირიკაძე : - სრულიად ვიზიარებ საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებას და პოზიციას, რათქმაუნდა უარი უნდა ეთქვას ა. ზახაროვას წინადადებას. ბათუმში აქტიური საზოგადოებაა და მათი ჩართულობით უნდა მოხდეს მემორიალის განსათავსებლად საუკეთესო ლოკაციის შერჩევა.

მარიამ ბურკენაძე : - ჩემთვის მიუღებელია წერილის ავტორის ინიციატივა და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ როგორც საქართველოს მოქალაქე და ევროპული ღირებულებების პატივისმცემელი ახალგაზრდა ადამიანი წინააღმდეგი ვარ მსგავსი ტიპის აქტივობა - მემორიალის შექმნა და განთავსება თავისი ფინანსებით უზრუნველყოს საქველმოქმედო ფონდმა ,,წყარომ", ვფიქრობ მემორიალის დასადგმელად საჭირო ფინანსები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტშიც მოიძებნება.

თამარ ხუხუნაიშვილი : ორგანიზაცია რომელიც ჩემი ქვეყნის ოკუპაციას არ აღიარებს და მის ისტორიულ ტერიტორიებს თავის ოფიციალურ საიტზე ცალკე სახელმწიფოდ მოიხსენიებს ამით უკვე ყველაფერია ნათქვამია და ჩემი პოზიციაც ცხადია, მათი ფინანსებით მემორიალის აგება დაუშვებელია.

კახაბერ გუჩმანიძემ საბჭოს დამსწრე წევრებს წარმოუდგინა წერილის პროექტი (წერილი მერის სახელზე, ასლი ა.ზახაროვას) :

„ ბატონო ლაშა,

თქვენ მიერ (N25/19426 19/08/2019) საბჭოსთვის გადმოგზავნილი საქველმოქმედო ფონდ ,,წყარო"-ს ხელმძღვანელის ა.ზახაროვას წერილის (20035/25 23.07.2019) საფუძველზე რომელიც ეხებოდა წინადადებას სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალის დასადგმელად ქ.ბათუმში ადგილის გამოყოფის თაობაზე, მოწვეულ იქნა ქ. ბათუმის მერის - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა და ჩატარდა განხილვა.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გვინდა გაცნობოთ შემდეგი :

ქ. ბათუმის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო პატივს მიაგებს სამამულო ომში დაღუპუთა ხსოვნას და მიესალმება მათი ღვაწლის უკვდავსაყოფად ქ.ბათუმში მემორიალის დადგმას, თუმცა არ მიიჩნევს მიზანშეწონილად განიხილოს საქველმოქმედო ფონდ ,,წყარო"-ს ხელმძღვანელისა და ე.წ. რუსული ,,უკვდავი პოლკი"-ს საქართველოში ორგანიზატორის - ანჟელიკა ზახაროვას წინადადება სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალის დასადგმელად ქ. ბათუმში ადგილის გამოყოფასთან დაკავშირებით, ასევე კატეგორიულად მიუღებელია მისი ინიციატივა - ზემოხსენებული ფონდის მიერ კონკურსის ჩასატარებლად და მემორიალის ასაგებად ხარჯების გაწევის თაობაზე.

საბჭო მიიჩნევს, რომ სამამულო ომში დაღუპუთა მემორიალის ადგილი უნდა შეირჩეს საზოგადოების ფართო ფენების მაქსიმალური ჩართულობით, ხოლო კონკურსის ჩასატარებლად და მემორიალის ასაგებად საჭირო ხარჯები უნდა გაიღოს სახელმწიფომ. "

ჩატარდა ღია კენჭისყრა საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წერილსა და წერილში გაჟღერებულ წინადადება/მოსაზრებას, 6 მომხრე და 1 წინააღმდეგი (ზურაბ ჩიხლაძე)

წერილის მერისთვის მიწოდება ეთხოვა კ.გუჩმანიძეს.

კახაბერ გუჩმანიძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე ტელევიზიას და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს რის შემდგომაც სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

კახაბერ გუჩმანიძე

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი

მარიამ ბურკენაძე

ქ. ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

26 სექტემბერი 2019, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი
(მის: ლუკა ასათიანის ქ. #25)

სარეგისტრაციო ფურცელი
(მრჩეველთა საბჭოს წევრები)

#	სახელი, გვარი	პოზიცია	ხელმოწერა
1.	კახაბერ გუჩმანიძე	თავმჯდომარე	
2.	თამაზ თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
3.	მარიამ ბურკენაძე	მდივანი	მ. ბურკენაძე
4.	მაყვალა კვირიკაძე	წევრი	მ. კვირიკაძე
5.	ნინო ინაიშვილი	წევრი	ნ. ინაიშვილი
6.	თამარ ხუხუნაიშვილი	წევრი	თ. ხუხუნაიშვილი
7.	ნათია აფხაზავა	წევრი	
8.	ზურაბ ჩიხლაძე	წევრი	
9.	გურამ ფუტკარაძე	წევრი	
10.	ლაშა ნაკაშიძე	წევრი	
11.	თემურ კაკაბაძე	წევრი	თ. კაკაბაძე

ქ.ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

26 სექტემბერი 2019, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი
(მის: ლუკა ასათიანის ქ. #25)

სარეგისტრაციო ფურცელი
(სხდომაზე დამსწრე საბჭოს არაწევრი პირები)

#	Name სახელი, გვარი	Institution ორგანიზაცია	Contact information/E-mail საკონტაქტო ინფორმაცია/ელ–ფოსტა	Signature ხელმოწერა
1.	მაია ქათამაძე	ბათუმის [illegible] განვითარების და [illegible]	593730293 maya.katamadze@gmail.com	მ.ქათამაძე
2.	მიხეილ [illegible]	ახალგაზრდა [illegible]	593 909 313 Mikheil.shavdatuashvili@gmail.com	[illegible]
3.	გია ჩხაიძე	BEDEC: [illegible]	555-54-82-59 gia.chkhaidze1@gmail.com	გ ჩხაიძე
4.	ნანა სიხარულიძე	BEDEC, ახალგაზრდა ქალთა [illegible]	557-25-27-47 sixarulidze17@gmail.com	ნ. სიხარულიძე
5.	მარიამ [illegible]	BEDEC, ახალგაზრდა [illegible]	555-341-259 mariamitarieladze123@gmai..	[illegible]

„[illegible]"